საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტთან არსებული „ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის პრობლემების შემსწავლელი სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
„ -8--- “ ---დეკემბერი--- 2014 წლის
№ 1338 დადგენილებით დამტკიცებულია
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
„--17----“ -დეკემბერი-------2014 წ. № 4
გადაწყვეტილებით

თბილისი 2014

თავი I

ზოგადი დებულება

1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „სტუ“) თვითდაფინანსებაზე მყოფი საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეული „ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის პრობლემების შემსწავლელი სასწავლო-მეთოდური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ (შემდგომში ცენტრი) შექმნილია და დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის № 1338 დადგენილებისა და სენატის 2014 წლის № 4 გადაწყვეტილების საფუძველზე:

1.2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების, წინამდებარე დებულების, საქართველოში მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.3. ცენტრი მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით, ის შუამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე შეკვეთებისა და შესაბამის ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით, მისი დებულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად;

1.4. საჭიროების შემთხვევაში, ცენტრი შუამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე, როგორც საქართველოს , აგრეთვე სხვა ქვეყნის სპეციალისტების მოწვევის და მათთან სათანადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე;

1.5. რექტორის, შესაბამისი დარგის რექტორის მოადგილის , აკადემიური საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭოს მოთხოვნით შეიძლ;ება ჩატარდეს ცენტრის ანგარიშის რიგგარეშე განხილვა.

თავი II

ცენტრის საქმიანობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

2.1. ცენტრის მიზანია: ქალაქის ეკოლოგიისა და დასახლებული ადგილების მდგრადი განვითარების ქალაქთმშენებლობითი ფუნდამენტური ეკოლოგიური პრობლემების შესწავლა-სისტემატიზაცია და ქალაქთმშენებლობაში ინოვაციური, ბუნებათდაცვითი მიდგომების გზების ძიება მეცნიერული და თეორიული

კვლევების საფუძველზე და ამ გზით დარგის და სპეციალისტთა მომზადების დონის ამაღლების ხელშეწყობა;

2.2. ამ მიზნის მისაღწევად ცენტრის ძირითადი მიმართულებებია;

2.3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების ხელშეწყობა ქალაქის ეკოლოგიისა და დასახლებული ადგილების მდგრადი განვითარების პრობლემათა შესწავლის, სფეროში;

2.4. ფაკულტეტის ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის საგანმანათლებლო პროცესში არსებითი წვლილის შეტანა სიახლეთა შეთავაზების გზებით;

2.5. ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტების მოზიდვა-მომზადება და მათი აქტიური ჩართვა სასწავლო-სამეცნიერო პროექტებში:

2.6. ქალაქის ეკოლოგიის პრობლემათა შესწავლის სფეროში ახალგაზრდა მეცნიერთა და ინოვაციური ნიჭით დაჯილდოებულ სტუდენტთა საქმიანობის ხელშეწყობა;

2.7. სასწავლო პროცესების ინტეგრაცია სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობასთან;

2.8. ქალაქის ეკოლოგიისა და დასახლებული ადგილების მდგრადი განვითარების სფეროში დასავლეთის ქვეყნების თანამედროვე მოწინავე გამოცდილების შესწავლა და გაზიარება;

2.9. სტუ-სა და არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის აკადემიურ რესურსებზე დაყრდნობით საზღვარგარეთის მოწინავე უნივერსიტეტებთან და მათთან არსებულ ეკოლოგიურ ცენტრებთან კავშირების დამყარება და საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში ინტეგრაცია:

2.10. მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადება;

2.11. ქალაქის ეკოლოგიის დარგში თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებისა და უახლესი მეთოდოლოგიების აკადემიურ პროგრამებში დანერგვა :

2.12. სამეცნიერო ჯგუფების შექმნა თეორიული კვლევებისა და პრაქტიკული საქმიანობის მიზნით.

2.13. ქალაქის ეკოლოგიისა და დასახლებული ადგილების მდგრადი განვითარების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, საინჟინრო-საპროექტო და საკონსულტაციო-მეთოდური შეკვეთების შესრულება;

2.14. სხვადასხვა ღონისძიებების (სიმპოზიუმების, კონფერენციების, სემინარების,

ლექციების) ორგანიზაცია-ჩატარება და მონაწილეობა წამყვან ადგილობრივ და უცხოელ სპეციალისტებთან ერთად;

2.15 საინფორმაციო- მეთოდური მასალების დამუშავება და გამოცემა გარემოს დაცვისა და რაციონალურ ბუნებათ-სარგებლობის საკითხებში;

2.16. ცენტრის თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და სამინისტროებთან (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისის მერია, ეკოლოგიის აკადემია, საინჟინრო აკადემია და სხვა);

2.17. ცენტრი თავისი კომპენტეციის ფარგლებში ანვითარებს პარტნიორულ დამოკიდებულებას სამამულო და უცხოეთის ორგანიზაციებთან, მონაწილეობს საქართველოსა და საერთაშორისო პროგრამებსა და პროექტებში, სიმპოზიუმებში, კონფერენციებში და ა. შ;

2.18. ცენტრი ატარებს კონსულტაციებს და აწვდის ინფორმაციებს სხვადასხვა ბუნებათდაცვითი ორგანიზაციისა და უწყების თანამშრომლებს;

2.19. ცენტრის სასწავლო-სამეცნიერო და საპროექტო საქმიანობის ამოსავალი პრინციპია საქართველოს ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიური და მდგრადი განვითარების პროცესში აქტიური სამეცნიერო, საკონსულტაციო, პრაქტიკული, კანონშემოქმედებითი და საგანმანათლებლო მოღვაწეობა;

2.20. ყველა ის საქმიანობა, რაც დაშვებულია და არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

თავი III

ცენტრის სტრუქტურა და მართვა

3.1. ცენტრის მართვას ახორციელებს დირექტორი. ცენტრის დირექტორი ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის მიერ. ცენტრის დირექტორის თანამდებობა არ წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობას.

3.2. ცენტრის დირექტორი შეიმუშავებს ცენტრის საქმიანობის პოლიტიკას და სტრატეგიას, განსაზღვრავს სამუშაო თემატიკას, ანაწილებს დავალებებს თანამშრომელთა შორის.

3.3. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს კონტროლი ცენტრის თანამშრომლების მიერ მათზე განპირობებული სამუშაოს დროული და სრული მოცულობით შესრულებაზე, შრომის ანაზღაურებასა და სხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე;

ბ) მოაწყოს ცენტრის მიერ მომზადებული სამეცნიერო შრომების, განხორციელებული და მიმდინარე პროექტების, გამოშვებული სახელმძღვანელოების, ახალი სამუშაოების და ა. შ. პრეზენტაციების ორგანიზება;

გ) განახორციელოს ცენტრის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი საქმიანობა;

დ) მოამზადოს შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტები და გასაფორმებლად წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს.

3.4. ცენტრის დირექტორს, საკუთარი კომპენტენციის ფარგლებში, ენიჭება პასუხისმგებლობა სამეცნიერო სამუშაოების და საგანმანათლებლო საქმიანობის მოცულობის, მიმართულებების, შესრულების ვადების, შინაარსის და ხასიათის განსაზღვრაზე , აგრეთვე ცენტრისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული უნივერსიტეტის ქონების მიზნობრივად გამოყენებაზე, შენახვაზე და მისი გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებაზე;

3.5. ცენტრის სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება პროექტის სპეციფიკის და შესრულებული სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით;

3.6. ცენტრის პერსონალი ინიშნება და სამუშაოდან თავისუფლდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ცენტრის დირექტორის წარდგინების საფუძველზე;

3.7. ცენტრის პერსონალის შრომითი ანაზღაურება განისაზღვრება ცენტრის შემოსავლების შესაბამისად.

3.8. იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის და ფორმების შესაბამისად;

თავი IV

ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები

4.1. ცენტრის მისამართია: 0175 საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77.

4.2. ცენტრი საქმიანობას წარმართავს თვითდაფინანსების პრინციპით. ამავე დროს ის არ არის საფინანსო-საგადასახადო სისტემის განცალკავებნული სუბიექტი და

წარმოადგენს უნივერსიტეტის საფინანსო სისტემის ერთერთ შემადგენელ ნაწილს.

4.3. ცენტრის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ფინანსური ურთიერთობის რეგულირების პოლიტიკას (წესს) განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი), რომლის საფუძველზეს საგეგმო-საფინანსო განყოფილება ეწევა ფინანსურ მენეჯმენტს;

4.4. სამუშაოების წარმოების საფუძველს წარმოადგენს ცენტრის დირექტორის წარდგინების საფუძველზე დამკვეთსა და (შემსრულებელსა) და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულება;

4.5. გაწეული სამუშაოს ანაზღაურება წარმოებს ხელშეკრულების საფუძველზე;

4.6. ცენტრის შემოსავლიდან უნივერსიტეტის მომსახურეობისათვის ზედნადები ხარჯები განისაზღვროს 5% (ხუთი) პროცენტით;

4.7. ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშების ფორმები. ხელშეკრულებები, სამუშაო მიღება-ჩაბარების აქტები და მისთ., განსაზღვრულია და რეგულირდება სტუ-ს შიდა ადმინისტრაციული აქტებით.

თავი V

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

5.1 ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება სტუ-ს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი VI

დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა

6.1. დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს ცენტრის დირექტორი, რასაც განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი).

თავი VII

დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის სენატის მიერ დამტკიცებისთანავე.